



# მათრახი

და საღაპური

## № 22

ყოველ-კვირული, იუმორისტული ჟურნალი



### სკესი და სიყვარული.

(არსი შინაგანი გრ. რობაქიძის ლექსისა 27 ოქტ.)

მსურს გიოხრათ მცირე ამბავი  
სკესის და სიყვარულისა,  
(ვეინინგერის წიგნიდან  
სათქვენოდ შობარულისა)

მაგრამ გთხოვთ სიტყვა ქართული  
არ დამიწუნოთ ნახმარი  
ფილოსოფიის ზღუდეში  
სიტყვებიც უნდა სხვაგვარი.  
ყოველი არსი ქვეყნიურ  
ვლენილი, კაცთა სახული  
ან შამრობიოსა, ან მდედარულ

სქესშია გამოსახული.  
 მის გამოჩენას ნასკეულსა  
 სისრულე დიას ეკლებს,  
 ვერ ანახვირებს მავარსა  
 დროთ უსრულ ყოფას ეცლებს.  
 და ესე გარდა-ლინება  
 არს ყოფად ყოფა ნებისა:  
 გარეშე სამამრ მღედროთა  
 არსი არ ევლინებისა.  
 ორ, ნახევართა არსთავან  
 გაინაკეთების რამ მთელი;  
 იქ დაიბადვის სახული  
 ვით ნათელს შობვს სანთელი.  
 გამო ამისა ისწრაფვის  
 ნახევარ წილადღებული  
 მეორე ნახევრისადმი,  
 მისწრაფებაში ქებული.  
 ვით ტალღი ზღვისა ზვიადი,  
 ვით სხივი მზისა მშუქნაფი  
 ვით ჰანგი ჰიანურისა,  
 ზეფირის ზვირთი მბუქნაფი,  
 ვით მხეცი სამკვდროთ ნაჭერი  
 ვით ტყვია ცხელი, გაკვეთი,  
 ვით მოციმციმე ვარსკვლავი,  
 ვითა გიჟიუნი ნაფეთი,  
 ეგრეთ ისწრაფვის უსახო  
 ნახევარ გარნასახები,  
 და ეძებს თვისსა ნახევარს,  
 გიჟურათ დანახახები.  
 მას ლტოლვას გიჟურ ღრეკილსა  
 სიყვარულს უხმობთ წესებათ  
 და არსნი მომლტოლვარენი  
 ისახებიან სქესებათ.  
 აქ ერთი არსი, რომელი  
 ნახევარ მყოფი ცალბირად  
 აზრისა თვისის სიგრცეში  
 გეგმასა იდგამს ზებირად.  
 და გეგმა ესე ნახახი,  
 მეორე სქესის ხატება,  
 ოდეს იხილავს მავარსა  
 მყისვე თვალთ დახეატება  
 და ილტვის მისდა კიდურად  
 გიჟურის ლტოლვილებითა,  
 არა გონების წინდენით,  
 არამედ განგის ნებითა.  
 ილტვის და არა იცის მან  
 არც დაბრკოლება, არც მარცხი  
 იმა ხატებას ეწწრაფვის  
 თუნდ ცისპირ იყოს ნანარცხი.

და როს მიღწევს გარნალა  
 სასურველს წილადღებდა,  
 გაინაკეთების იმ არსში  
 კაცობრიობის ბედალა.  
 მაგრამ არსება ყოველი  
 სულ მყოფი ქვეყნად რებული  
 არს ხორცისა და სულისგან  
 შედგენილ შემყარებული.  
 სული მაღლა სდგას ხორცზედა  
 ვით თაფნი ჩვენნი ფერხზედან  
 და მოციმციმე ვარსკვლავნი  
 მთვარესა ზე და მზეხედან.  
 ამისა გამო, მრავლობა  
 ღრეკაა სქესთა სწრაფვისა,  
 და სძლიოს ამა ენებამან  
 ხორცი, სულთ ფლობა აქ ვისსა.  
 მაგრამ ზე არსნი კაცადნი  
 ხორცს სულთა დანაღმონებენ...  
 სქესურსა მიდრეკილებას  
 გარნა ყოველნი მონებენ?  
 მათ სული თვისი, განაწრთი  
 ამაოს განაცაშორეს  
 და შეურთეს სიგრცესა  
 უსრულეებელსა და შორეს  
 ეს „განდევლიმა“ ვერ შესძლო,  
 ილიას დანახატებმა!  
 ის ძლია ხორცის სურვილმა  
 სქესობამ განამატებმა!  
 მაგრამ ძირს ხორცი, ძირს სქესი,  
 სული ზე არსთა ბრწყინვალეებს.  
 ვადუღვეთ ამაოებას  
 უზენაესი, გვაკალებს.  
 გავექცეთ ჩვენთა ნახევართ  
 ვიყვეთ ნახევარ რებული,  
 სული მაღლა სდგას ხორცზედა  
 ამაოს აღშორებული.

—კი.

## ეშმაკის (ნტმკვიუ).

იაკობ გოგებაშვილთან.

ზომიერის მორიდებით შევალე ჩვენი ბატონარქ-  
 პედაგოგის ოთახის კარები და შევედი. ვცდილობ-  
 დი არ დამერღვია მოხუცის მყუდროება, არ მომე-  
 წყვიტა მისი გონება სათანადო ფიქრებისაგან, მაგ-  
 რამ...

მაგრამ ღმერთი დასწყევლის ფიზიკის მომგონს  
 და ჰაერის მოძრაობას! კარის გაღებისთანვე იგრძნო  
 მოხუცის ფიზიკა ბუნებამ არა ზომიერი, უკეთ  
 ესთქება უზომო მოძრაობა შინაგან-გარეგან ჰაერი-



სა და მოწყენილი სახიერება ინსტიქტიურათ მოიბრუნა კარებისაკენ.

კარებში კი მე ვიდექ ზომიერ ვარგვან გამო მეტყველებით, მაგრამ უზომო შინაგან მღელვარებით შეკერობილი.

— მობრძანდით, მობრძანდით ბ-ნო! ზომიერის აღერსიანობით გამომეხმარა იაკობი და თავისკენ მიმიწვია.

— უკაცრავად ბ-ნო იაკობ ვგონებ უღროვო დროს გვახელით და ხელი შეგვიღალეთ.

— არა. დაბანდი. ქუჩიდან მობანდი?

— დიახ, ქუჩიდან გვახელით.

— მაშ გეკოდინებთ, სიცივეა გარეთ?

— რასა ბრძანებთ, ჯერ რა დროს სიცივეა!

— მაშ სიცივეა?

— კმ, ბ-ნო, შემოდგომის დამლევს რაღა დროს სიტყვებია. სწორეთ ზომიერი სითბოა.

— ჩინებული! ქარია?

— ქარიც ისე ზომიერათ უბერავს, არც ძლიერი ეთქმის, არც სულ უქარობა.

— ჩინებული, ჩინებული. მაშ შეიძლება ქუჩაში გასვლა?

— როგორ არა, ქვეყანა ქუჩაშია, თქვე დილოცილო, ჯერ მხოლოდ ირიოდ სიტყვა მქონდა თქვენთან.

— რა გნებათ?

— დედა ენის შესახებ....

— „დედა-ენა“ სულ გაიყავა. ახალი გამოცემა იქნება მალე და მაშინ იბოძეთ.

— არა ბ-ნო, მე სამშობლო ენის, ანუ ქართული ენის შესახებ მინდა მოგელაპარაკოთ.

— ჰოო! გემნაზაში?

— არა, აქ.

— მერე?

— მერე ისა, რომ თქვენი ზომიერი პასუხისათვის ვგონებ უზომო უსიამოვნება მოგაყენესთ. არა?

— ჩვენში ყოველთვის წრეს უნდა გადასცდენ. უცნაური ცილი დამწამეს სწორეთ უცნაური.

— მე მგონია გაზუებმა ვერ გაიგეს თქვენი გამოსვლისა და მასთან ერთად თქვენი სიტყვების მნიშვნელობა.

— რასაკერეღია, გადააქარბეს. მე იმას ვამბობდი: ქართველი ახალგაზრდანი, მოწყვეტილნი სამშობლო ენას, ლიტერატურას: გეოგრაფიას, ისტორიას, აწყმოს და წარსულს, კი არ რუსდებიან, როგორც ეს მთავრობას უნდა, არამედ ინტერნაციონალდებიან და ადვილად ხდებიან მიმღევრები იმ ფანტასტიური ინტერნაციონალური გეგმების და

პლანებისა, ხდებიან იმათი მოწაფეები, ვისაც სურს აწინდელი კაცობრიობის მდგომარეობა ძირიან-ფესვიანად აღმოფხვრან, დაამზონ. მე წმინდა წყლის ევოლუციონისტი ვარ და ესეც არ იყოს მე რუსეთში არა მწამს რევოლიუცია.

— უნდა გამოგიტყდეთ, რომ მე დიდი მომხრე ვარ ზომიერების. ზომიერება ყველგან საჭიროა. აი თვით ბუნებაშიაც, ზომიერების კანონი ყველგან ჩინებულათ არის დაცული. მოვიყვანოთ თუნდ ხურგი ჩვენის დედა-მიწისა. თქვენ კარგათ მოგხსენებთ, რომ განათლებული ხალხი ზომიერ ზოლებში ცხოვრობს. აიღეთ გინდა წელიწადის დრონი, განა ყველას არა სჯობია გაზაფხული სიკვლეუკით და შემოდგომა სიმსუქნით? და ამა ხანებში ჰავა ყოვლის უზომიერესია. მაგრამ ამბობენ რევოლიუციას ხალხის გასანათლებლათ კი არ ახდენენ, არამედ პოლიტიკურ უფლებათა მისაპოებლათ. რომ შემდგომ რევოლიუციის იმავე ხალხის საკეთილდღეოთ გამოიყინენ ეს უფლებებიო

— მერე? მერე განა ჩემი მათრახი რევოლიუციონერებისადმი იყო მოქნეული? არა! თუმცა მე არასოდეს არა ვყოფილვარ რევოლიუციონერი, მაგრამ დიდ პატივსა ესცემდი ყველას, ვინც თავის იდეალებსათვის ევრე თავგანწირვით იბრძვის.

— კარგი მაგრამ ეს მათი ბრძოლა თუ თქვენი შეხედულობის წინააღმდეგია და მოწყვეტილი სამშობლო გეოგრაფიას? როგორღა თანაუგრძნობთ?

— მაშინ? მაშინ სულ სხვაა, როცა ადამიანი ნაციონალურ ზომიერებას კარგავს, მას ეცლებათ ფეხქვეშ ჯანსაღი კონსერვატიული საფუძველი, იყენებთა უნიადაგო ინტერნაციონალური ოცნებებით და ფეხებზე ჰკიდია, როგორც სახელმწიფო, აგრეთვე ზომიერებაც.

— ჰო და, თუ ეს ესა, მაშ როგორ თანაუგრძნობთ? მე პირი იქით იმ აზრისა ვარ, რომ დავცლება ამ რევოლიუციამ. მთავრობის თვალში ნდობა დაგვიკარგა და სხვა უმედურებასთან ერთად გიმნაზიებში ქართული გაკვეთილებიც შეგვიმკირა. უწინ ვიყავით ჩვენთვის მშვიდობიანათ, თავისუფლათ! ჩვენს ენას და გეოგრაფიას არავითარი საფრთხე არ მოელოდა.

— ჰო და მეც ანას არ ვამბობ. უწინ ჩვენს საშვალო სკოლებში გვეზრდებოდა ზომიერებით აღსავსე ქართველი მოღვაწეები.

— ბ-ნო იაკობ მეც სულ იმას ვტიროდი: შვილებო გონს მოდით, გონს მოდით, სად ვაგონილა შვილი მამას ეწინააღმდეგებოდეს, სად ვაგონილა საყვარელ მთავრობას, რომელიც ამდენ მშვიდობიანს პროგრესისტსა და ზომიერ მოღვაწეს გვიზრდის, ძალით

შეგბრძოლო და არა თხოვნა მუდარით, ან ზომიერი გაბუტვით დაიყოლოო თუ რამე კი დაგრჩენია კიდევ სანატრელი მეთქი.

— ჩინებულა! მე არცა მწამდა და არც ახლა მწამს რუსეთში რევოლიუცია. ასე რომ, ვინც ჩვენ ხალხს, საზოგადოებას და ინტელიგენციას ამით აიშლებს, ის მოღალატეა ხალხისა. ერთად ერთი ხსნა ჩვენი ხალხისა არის მეორე გიმნაზიაში 24 კვირული ქართული გაკვეთილის დაარსება და ჩვენი დეპუტატების მიერ მიღებული ტაქტიკის შეცვლა სახ. დუმაში.

— ერთი სიტყვით თქვენის ბაგით თვით ქეშმარიტება ლაპარაკობს. 24 გაკვეთილი მეორე გიმნაზიაში და მემარცხნე პარტიების შეერთება დუმაში! აი ჩვენი ქვეყნის მალამო. ეს ქართველ ხალხსაც და კოწია თუმანიშვილსაც შეურყევლად სწამთ, მაგრამ მარქსისა და კრაპოტკინის მიმდევრები აბრმავებენ ხალხს. ისინი ეუბნებიან: ვერც 24 ქართული გაკვეთილი და ვერც შესამდე დუმა ვერაფერს გიშველისო. ხალხიც არ უფიქრდება საქმეს და ქეუჯერის მათ, რითაც რასაკვირველია სახელს იტებს მამობრივი მთავრობის წინაშე. მაგრამ იცითარა მოგახსენოთ, ამბობენ მთავრობას ორჯერ გაურკვია დუმა ურჩობისათვისო.

— ჰო, დიახ. „ქართველ ხალხს სახელი უტყდება! ფადევი ამბობდა „ქართველების სრული იმედი და ნდობა შეგვიძლია ვიქონიოთ, ვიდრე ისინი ქართველებთან დარჩებიან“. ახლა ვილა გვენდობა? ჩვენი ქართველობა შერცხვა, მოგვექრა თავი.

— რა ქკუიანი ყოფილია! მთავრობას რაღა ღმერთი გაუწყრა, რომ ვერ მიხვდა ვის ამრავლებდა ამ გიმნაზიებში? მიკვირს ღმერთმანი; ასეთი მჭევრმეტყველური გაკვეთილით ქკუა როგორ ვერ ისწავლებს!

— მე ზგონია ჩემი წვრილი ძლიერ ჩაფიქრებს კაცისის სამოსწავლო უწყებას—არა?

— განა ამას ლაპარაკი უნდა! ალბათ მაგ წერილს დუმაც განიხილავს. მე ზგონია ამ ყამად, ანუ ორშაბათიდანვე 24 გაკვეთილს დაუთმობენ ქართულ ენას და შემდგომისთვის საესეებით მიიღებენ თქვენს ზომიერ დარიგებას.

— სად გავონილა ყმაწვილო ასეთი პოლიტიკა? მისცა ახალთაობას ანტიანციონალური მიმართულება, ამით ქართველობის გარუსება უნდოდა, მაგრამ წაუხდა ანგარიში. საქართველოს მოშორებით, მან რუსეთსაც ჩამოაშორა ისინი და შეეცურა საერთაშორისო ზღვაში, სადა მარქსი და კრაპოტკინი განისვენებენ.

— ეს ქეშმარიტია, მაგრამ კრაპოტკინი ხომ

რუსია და იმას ხომ რუსულით ზრდიდენ? მაშ რა ჯანაბამ გაინტერნაციონალისტა?

— ვის? კრაპოტკინი რუსი?

— დიახ რუსი.

— რამე გაარუსა, სურამელი ებრაელი! სურამელი თუ არ არის ცხნვალელი, ან კულაშელი მაინც იქნება.

— წარმოდგინეთ მე რუსი მეგობანი!

— არა ყმაწვილო, არ შეიძლება. ზომიერება ყოველივე საქმეში და ყოვლის უწინარეს არის საჭირო. ცხოვრება თანდათანობით მიდის წინ. „ჩართვეს ჩაყოლა სჯობია“ და ძალას თხოვნა.

— ეგ რასაკვირველია. ჩვენ უნდა მივსწრაფოდეთ...

— არა; ჩვენ კი არ უნდა მივისწრაფოდეთ, მისწრაფება არ არის ზომიერება. ბევრს შეიძლება გაეცინოს, მაგრამ ჩვენ უნდა მივჩოჩავდეთ, დიახ, მივჩოჩავდეთ.

— მე მინდოდა მეთქვა მივისწრაფოდეთ მშვიდობიან ორგანიულ რეფორმებისკენ მეთქი.

— არა, უნდა მივჩოჩავდეთ რეფორმებისაკენ და თუ რეფორმა გამოჩოჩდება ჩვენსკენ, ეს კიდევ უკეთესია.

— უზომოდ გმადლობთ ბ-ნო იაკობ, ამ სიამოვნებისა და პატივის ცემისათვის.

— ა კიდევ! ყმაწვილო დიხსომეთ: ზომიერება, ზომიერება და ზომიერება. ჰო, კინაღამ დამავიწყდა, თქვენ ვინა ხართ?

— მე ეშმაკი გახლავარ.

იაკობმა ზომიერათ, მაგრამ არა მშვიდობიანათ ამხედ ჩამხედა. მე ვამჯობნენ დროზე გავცლოდო არა სასურველსა და არა სასიამოვნო რეფორმებს ჩემი მდგომარეობის შესახებ.

ეშმაკი

\*  
\*  
\*

ოჰ, ის თვალები

შვი თვალები

დამწველნი. როგორც ნავეერჩხალები!

მე იმათგან ვარ ფინთის ნაკრავი,

გულ დაკდილი, განაწვალელები...

სატრფოვ, გულისა

მჩენო წყლულისა,

საგანო ჩემი სიყვარულისა!

რატომ ხარ მკაცრი? არ გაგაჩნია

მცირედი გრძობა სიყვარულისა.

მე, ვით ეული,

ლანდათ ქვეული,




დავდივარ, ფიქრებ შემოსული:  
„ნუ თუ სიკვდილსაც კი დავაფიწყდი?  
ნუ თუ არ მოვა იგი წყევლად“?!

მოდი სიკვდილო,  
შე უსირცხვილო,  
ჩონჩხო ძელებსა, უსისლო-ურბილო!  
თან მოიტანე ის უშენი ცელო:  
დამკარ, გამპკრე, არ მაყოცილო...

სატრფოსა ჩემი არ ეყურება...  
სიკვდილი ჩემსკენა არ ეშურება...  
ოჰ, სანამ... სანამ უნდა გაგრძელდეს  
ვგ ჩემი ტანჯვა.. ბედის მღერებმა!..

ბ ზომლეთელი



### სწვ და სწვ დღიურებიდან

გ. რობაქიძის დღიურიდან:

...„ЛОВИШЬ МОМЕНТА“ ორომ იტყვიან, სწორეთ მე ვარ, დღერთმანი: რა კი დროს მოვატანე სამ შობლოს და! მეც „სანამ“-ის ბედი მეწვია... ამ ოთხი-ხუთი წლის წინათ კინწის კირთ გამავდებდნენ, ეხლაკი — იიფ. გვაძოთ ყოველი სიკეთე! ჩვენისთანა გულ-კეთილი ხალხი არსად არ მოაპოვება: საკმარისია „პატრიოტობის“ ვგზამენი დიკირო, — შენ ბედს ძალი არ დაწყევს: გენიოსობის დანიკიერების „ორდენებს“ ტყაპა-ტყუებთ მოგაყრისანი დაბ, არა გნებავთ, რუსეთში ან სახლგარ-გაჯეთ მარტო მაგისთვის ავასკუპონ ოლიმპაზე! ე...ებ, იქ, საუბედუროთ, შინა-ბარგის „პატენტსაც“ თხოულობენ... НУ ИХЪ КЪ ЧОРТУ! ქლაქში ყმობას სოფელში ბატონობა მირჩევიან... სწორე რო გითხრა, ჩემო დღიურო, აქაც კაეპევაძის სიკვდილმა შემეწყო ხელი, თორე... ე...ე... საწყალი სოცილდემოკრატებმა! კარგათ ვიცი, როგორც არი საქმე, მაგრამ, რა ვქნა, — ТРЪБНА ЗА СУЩЕСТВОВАНИЕ — მა როგორ ამელო არისტოკრატისთან შესასვლელი პასპორტი? ენინა ივლიტეს „ჟურ-ფიკსეს“ და „ვეჭერებს“ ცოტა გავლენა კი არა აქვს ახალგაზნადა ქართველის „კარიერაზე“! ერთი-ორი წელიწადიც და — სუბსილია, სტიპენდია, ან თბილი ალაგი რომელიმე დაწესებულებაში უთუოთ გამეარხება!

ნამდვილ კალიოსტრომ მოვევლინე ჩვენ დილკაცობას, ღმერთმანი! რაც უფრო გავუგებრათ ვლამარაკობ, მით უფრო ტკეინი ვგროვივარ! საშინლათ ჰგავს ჩვენი არისტოკრატია გოგოლის პეტრუშკას! რა მენაღვლება, თავში ქვაც უხლიათ, ე მე კი თაველში ვცურაობ და! ან მათსავით — „ОДЪБЪ, РАЗДЪБЪ И ВНОВЬ ОДЪБЪ“... ლოგინშივე მომდის დასაბატიკებელი ბარათები: დლით — ენინა ბაბა-ლესთან „на чашку кофе“, სადლიათ — „პრენს“ ლუარსაბთან „აჲა ხაში და არტალია“, საღამოთი — ენინა მაკინესთან... ფისტაშუების ტკაცა-ტკუცს უფრადება: მეტაფიზიკა, პლატონ, ვენინგერ ნიციშე, ენუტ გამსუნ, სქესი, „მე“ პანტიშმ... ხა, ხა, ხა! იმ დღეს ენინა დარეჯანი შეკითხება: „შეილო, რომელ პლატონზე ამბობ, ჩემ მოურავზე ხო არა ვავიგონია რა, სწორე მითხარ, გეთაყვათ! ნახვამდის, ჩემო დღიურო... სარკესთან მივეშურები, „მანერები“ უნდა შევისწავლო ხვალ ლექცია მაქვს“.

კიბა აბაშიძის დღიურიდან:


...„გიმე სირცხვილო, თუ ჩემგან ნაქება ა. შანშიაშვილმაც, თავის „მავსტრო“ გუნიასავით, პლაგიატობას მიჰყო ხელი! რა ვიცი, მისი უკანასკნელი პოემა «ოცნების მხარეს» ძალიან კი წააგავს როსტანის „პრინცესსა გროზა“-ს და! კიდევ კარგი, თუ არავინ ვაიგო... ყმაწვილო, ყმაწვილო! ბელინსკიათ მომქონდა ჩემი თავი ნიქების აღმოჩენაში და ე რა მიყავ. რა ფაიერაკს შემაძინებ, თავი რათ მომქერ?! ის მაინც როგორ ვერ დადვასე, რომ შარშან, აპოლონის „კანტროლ“ ჩუმათ, „гИРУИЕ“ ავამკრინე პარნასზე?! „დროების“ რედაქციას რად დავმართა: მართალია, დღი ნაკითხი და ნასწავლი მათში არავინ ურევია, მაგრამ საფრანგეთის შესანიშნავ მწერალს, აკადემიკოსს და უყვადებში („40 БЕЗСМЕРТНЫХ“) — ჩაროცხულ როსტანს, როგორღა ვერ ეინობენ, რა ღმერთი გაუწყრათ?! წავიდე, მივეწრო მაინც, რომ ცოტა ხნით შეაჩერონ პოემის ბეჭდა და ბოლო მაინც გამოუცვალონ“...

დ-რ სტეფანოვის დღიურიდან:

...„Не имѣи 100 рублей, а имѣи сто друзей!“ — რა სწორეთ არის ნათქვამი და! იმდენ კონკურენტ პროფესორ-ექიმებში — შენიკობა ხო არ არი: მივლი რუსეთი მოსკრეს! — მაინც სულ შინაურები დავენიშნეს არამიანცის „ბალნიკაში“! თუმცა მაშინვე კი გვანუგმეს — „თვალის ასახვევთ, განგებ „კონკურსს“ დავენიშნავთ, მაგრამ ნუ გეწმინანთ: მეჩნიკოვმაც რო გამოგზავნოს „პროშენია“, მაინც თქვენ არ გამოგწირავთ მაც ადგილებსაო“... ენა-ცვალე შეგობრება! ისიც რა „ლოკვათ“ მოახერ-

ხეს და — „პრიტიჩისისთვის“ დროებით დაგნიზნავთ, მაგრამ იქნები და იქნები, მათუსალას ხნამდინაც რო იცხოვროს! მეგობრები მაგისთანა უნდა, მამ! „რეკლამაც“ გავიკეთეს! რაც უნდა იყვეს, ყველა იფიქრებს: „დახე, რა ექიმები ყოფილან, პროფესსორებსაც კი აჯობესო!“... საწყალი კონკურენტები! ცოტა არ იყვეს, მახსარათ კი აიგდეს... — სიიდან სად „პროშენივს“ და სამეცნიერო ნაშრომები გამოაგზავნიდეს და — ჰუბლუს! კიდევ კარგი, რო ჟურნალისტებმა ყურადღება არ მიაქციეს ამ კომედიას... მაგრამ რა იქნებოდა? ძმა „გლასენები“ ცოცხლები გვეყავდნენ, თორე იმათ რაც უნდა არახუნონ გახეთებში! რეაქციას ვწიროთო მადლი, თორე, დიახ, „ეს-დეკებიც“ არ გვაპარაშებდნენ ესე!“


შოლტი.



\* \*

მე გულის სიღრმე გადაგიშალე, სველის უსტარი წინ დაგიფინე...  
 შენ კი, ღვთაებავ, რათ გაიციენ?  
 გულის სიმები ავაწკრიალე,  
 წმინდათა წმინდა ავაღაღადე,  
 უჩინარ გრძნობას ფარდა ავხადე...  
 ბირველათ თითქო შემებრალეო,  
 თავი ჩაიკიდე და მოიწიენე...  
 მერმე კი უცებ რათ გაიციენ?  
 რათ მიეც გრძნობა, გრძნობა გულწრფელი  
 უგულლო სიცილს შორს გასაფანტათ?  
 რისთვის დაიკინე შენს მსახველს ხატათ?..  
 მე გულის სიღრმე გადაგიშალე,  
 გრძნობის უსტარი წინ დაგიფინე...  
 შენ კი, ღვთაებავ, რათ გაიციენ?

გ. მალაქია შვილი.



გაცრუმბული იმედი!

ლაშის 11 საათზე, სეგნარქიო სკოლების მეოვა ლყურე, თედორე ჟორდანიო მოწყენილი იჯდა თავის სამწერლო სტოლოთან და ხანდისხან, ჩუმ-ჩუმათ პატარა ჯიბის სარკეში იკვირებოდა.

აგერ წელიწადზე მეტია, მას წვერებისათვის მკრატლის პირი არ მიუჯერებია და სახე თითქმის სრულიად გამოეცვალა.

— არა, რით არა ვგვევარ ებისკოპოზს თუ ღმერთი გწამთ, ა? ერთი შეხედოს კაცმა ამ წვერებს, ამ უღვავებს!

მან სიაშოვნებით ჩაუსვა მარჯვენა ხელი გულზე სქლად დაყრილ წვერებს და კვლად გაუჭკრიტა წითელ ტყავიან პატარა სარკეს.

— ყველაფერს შნო უნდა, არქიელსაც თავისი შეხედულობა სჭირია, მარტო კურთხევა ბევრს არაფერს ნიშნავს. ნეტავ ვიცოდე როგორ დამშვენდება ბრწყინვალე სამოსელი, მოქედლი ლიტრა და სამკაული! ნეტავ ვიცოდე, ნეტავ ერთხელ მაინც მესინჯა ჩუმათ. ვინ იცის იქნებ სულაც არ მომიდგეს? იქნებ ისეთი გამოვჩნდე, როგორც უბრალო მღვდელი, უშნო და უღაზათო! არა, მე უთუოდ უნდა ვისინჯო, უთუოდ უნდა ვისინჯო.

ის ფეხ აკრეფით შევიდა საწოლ ოთახში, გულ დასმით ამოარჩია ყველაზე უფრო ლამაზი, და ჭრელი საბანი და ისევე წყნარათ გამოვიდა.

— უთუოდ უნდა ვისინჯო; ვნახე მაინც როგორი ვიქნები. თუ უკეთესი არა, ამაზედ ვარცხი ხომ აღარ გამოვალ? უთუოდ უნდა ვავსინჯო, უთუოდ მან სწრაფათ მოიხურა ზურგზე ჭრელი საბანი, ინგლისური ქინძისთავით ორ სამ ალაგას დაიბნია და ქანდაკებასავით გაჩერდა ოთახის შუაგულში.

— თავის სამკაული?  
 გაითქრა მან და გაფაცოცებით დაუწყო ძებნა ცოტათ თუ ბევრად ამ დანიშნულებისათვის სავარგის საგანს. დასასრულ არჩევანი სამწერლო სტოლის ქვეშ შედგმულ თეთრი მათულის მოქსოვილ მრგვალ კალაზე მდგა.

— ეს ჩინებულია!  
 ჩაილაპარაკა „საქმეში“ გართულმა მეთვალყურემ და სტოლის ქვეშეთან კალათი გამოიღო. სულ ცოტა მოწვევა დასჭირდა კალათის პირსა, რომ სავარქიო მეთვალყურის თავს საუცხოვოდ მოაგებოდა.

— ჩინებულია, ჩინებული, ჩაილაპარაკა მან და ხანგრძლივით ჩაეკერდა პატარა სარკეს.

პატარა ხნის შემდეგ თედორემ რიხინათ ჩამოუარა სკამებს, ვადასხა ჯვარი, მარჯვენა ხელის ზურგი შეახო და დაღად ჰყო:

— გაკურთხოს შვილო ღმერთმა, ალავერდის



ქორ-ვისკოპოზი თეოდორე მარადის შენთვის მლოცველი იქნება, გაკურთხოს შეილო, გაკურთხოს!

„ეფისკოპოზი“ ძლიერ გაიტაცა ამ უმანკო გასართობმა. ის ხან ერთ სკამს მიადგებოდა, ხან მეორეს; ხან შვა ალაგას დადგებოდა და ორვ ხელაკურობილი გაშტერებით შეკყურებდა ქერში გამოკიდულ ლამაზზე შეხიზნულ ბუზთა ლეგონებს.

— პენსია პენსიად, ტახტი ტახტად! კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა, ღმერთი უფალი და გამოვკინდა ჩვენ...

ამ დროს, სახლის აივანზე ღოღინით მობეზრებულმა, სასულიერო უწყების საქმეთა დამტარებელმა მოკრძალებით შეაღო კარები და ხესავით გაშეშდა.

— მოდი შეილო, მოდი! გაკურთხოს უფალმა საღმრთოთა მადლითა თვისითა. ემთხვე შეილო, ემთხვე.

შეშინებულმა დამტარებელმა აღარ იცოდა რა ექნა. ერთი იყო გაუქროლა აზრმა: ბატონის საქმე გლახათ უნდა იყოსო“, მაგრამ ბოლოს მაინც დაემორჩილა თავის ხვედრს და გაშვირდ მარჯვენა ხელს მოწიწებათ ეამბორა.

„ეფისკოპოზი“ გამოერკვა! მან საქაროდ მოიძრო ძვირფასი „სამოსელი“ მოხიხდა საუხუხოვო „ლიტრა“ და დარცხვენდიის კილოთი იკითხა ასე გვიანი სტუმრობის მიზეზი.

— ეს ქაღალდი გახლავთ ბ-ნო. მიუფო დამტარებელმა; და გადასცა ფართო კონვერტი.

თეოდორემ სწრაფათ გახსნა ამანათი. გაშალა ორათ მოკეცილი ქაღალდი და კარგა ხანს ფერ მიხილი ჩასტკეროდა შიგ.

— მაშ ეგ არის თქვენი პასუხი?

ნადღლიანის კილოთი წარმოსთქვა მან და მარცხენა ხელის იდაყვს დაეხინა, მწარე ფიქრებში წასული. უწმინდესი სინოლიდან უარი უთხრეს პენსიის დანიშვნაზე თუ ალაფერდის ეფისკოპოზობას ისურვებდა. ის მართლაც საგონებელში ჩავარდა.

— მშვილობით წვერებო! მშვილობით ჩემო იმედებო!

თედორემ მთელი ღამე მწარე ფიქრებში გაატარა და მეორე დღეს აქარებულნი ნაბიჯით გაემართა ნაცნობ პარიკმსხერისაკენ.

„მასკა“



ქესტვირული.

(ნიგოთისთავის)

მინდა ვახსენო ეშმაკი ხელში ავიღო სტვირიო და გლეხებს მოუღლინო: მე მათი ვასაქირიო. გაქრა წავიდა არა გვყავს სიმართლის მთქმელი პირიო, გამეფდა: შური და მტრობა ძარცვა შეგვექნა ხშირიო. უკან წაიღეს სულ ყველა ერთობის განაპირიო, თუ ვინმემ რამე გაზედა დედა ყავს ანატირიო. დღე, დღე გვიქვრენ მუხრუქსა მიწა გახადეს ძვირიო (გატყდა გლეხობის სიმტკიცე ერთობის გატყდა პირიო). უნდა ვახსენოთ ჩიხუა გიორგი, ბანკის გმირიო, მემათრახანი ამ კნიახს ყავს მეტის მეტად ხშირიო. მიწის ზედ მეტად მზომელი, აგრეთვე ცხენის კირიო კოტრნი და ხმელნი თავადნი ვითარცა წინდის ჩხირიო. ბლომად ჩაჯიბეს ქანქარი ჩვენს ზურგზე ანახადიო. გვიმტყუნა მოსავალმაცა სიმშლილი გველის ცხადიო




**ბ ა ლ კ ა ნ ე თ ი**

სერბიისა და ავსტრიის საომარ ფეხზე დაღვრის შემდეგ ბალკანეთის სამეფოები თითქო მიწენარდნენ. იმათი ცხოვრება, ჩვენთვის რასაკვირველია უფრო ახლობელმა, სპარსეთ ოსმალეთის ამბებმა ჩაჩრდილეს. დღეს კვალად გამოკოცხლდა ინტერესი ბალკანეთის ცხოვრებისადმი.

უპირველეს ყოვლისა ყურადღების ღირსია საბერძნეთში დაწყებული მოძრაობა. კარგა ხანია კულმულ კრიტოსის შესახებ საბერძნეთში უკმაყოფი-

ლებს სუფევს. კრიტოსის შეერთება საბერძნეთის საოცნებო საკითხს შეადგენს, მაგრამ ამ სურვილის სისრულეში მოყვანა შესაძლებელია მხოლოდ იარაღის ძალით. კრატოსი დღეს-დღეობით ოსმალეთის საბრძანებულს შეადგენს და საბერძნეთიც მას უნდა შეებრძოლოს. ამ წინაზე, როგორც გემასოვრებათ ბევრს ლაბარაკობდნენ და სწერდნენ მოსალოდნელ შეტაკების შესახებ, მაგრამ თანაც წინასწარმეტყველობდნენ საბერძნეთის უცილო დამარცხებას. საბერძნეთს სწამე ომამდე არ მივიდა, მაგრამ საბერძნეთში თავი იჩინა სამხედრო პირთა შეთქმულო-





ღამისტკიული სცენა სამტრედიის სადგურსე.

ბამ. ოფიცერთა წრეებმა დაარსეს ეგრეთ წოდებული სამხედრო კავშირი და ღვაწი ასდგეს, როგორც სამეფო გვარეულობას, აგრეთვე პარლამენტსაც.

სამხედრო კავშირის დიქტატურას მოჰყვა ტიპალდოსის აჯანყება, რომელიც მისი დამარცხებით გათავდა. დღეს დღეობით ხმა დადის მეფე გეორგის გადადგომის შესახებ. ამბობენ აგრეთვე საბერძნეთის შინაურ საქმეებში უცხო სახელმწიფონი ჩაერევიანო.

ბალკანეთის ნახევარ კუნძულზედვე სძვეს პატარა, რუმინის სამეფო. მისი არსებობის შესახებ ქართველი მკითხველის ყურამდე ძნელათ მიაწევს ხოლმე რაიმე ცნობა. ამ ქამდ რუმინიაშიაც მოძრაობა დაიწყო გაფიცებისა და დემონსტრაციების სახით. მიზეზი მოძრაობისა ადგილობრივი სოციალ-დემოკრატის დევნა რუმინისმთავრობა ს დ. მოღვაწეებს დაუზოგველათ ცრეკება სახელმწიფო საზღვრებიდან. გონიერ მთავრობას ამით თავისი სამფლობელოს დაწესარება სურს ალბათ, მაგრამ თუ რას მოიქის ამას ახლო მომავალი დაგვანახებს. ჯერ-ჯერობით რამდენიმე ალაგას მოუხდათ შეტაკება მუშაოა ჯგუფებს და ჟანდარმებს.

თუ გაზეთებს დაუჯერებთ, არც სერბია ჩერნოგორიის საქმეა კარგათ ეს სახელმწიფონი შარ-

შან შეერთებულის ძალით აპირებდნენ ავსტრიასთან შებრძოლებას და ვაჟაკურად ემზადებოდნენ ძლიერი მტრის საპირდაპიროდ. დღეს მათ შორის თითქო შავს კატას გაურბენია, და მტრული განწყობილება დამყარებულა. ამბობენ ეს ხმები ყოველგვარ სიმართლეს მოკლებულია და ავსტრიის ინტრიგას წარმოადგენსაო.

ამგვარათ ბალკანეთის ცხოვრება კიდევ ინტერესით აღივსო და თავისკენ იპყრობს ქვეყნის ყურადღებას.

შ ა რ ა დ ა .

ძნელი განა მოვანხოთ  
კაცი უწვერო, ხნიერი?  
(არც კრეკა უნდა, არც პარსევა,  
ქეთიობს სეგბენიერი!!.)  
ქართულათ, არსსა ამგვარსა  
საგანგებო აქ სახელი  
და ვერ ვირწმუნებ, ეროხელაც  
არ იყოთ მისი მწახველი  
მაშ თუ ეგრეა, მოსჭერთ  
მას ნახევარი პირველი,  
(რადგან ეს, შარადისათვის

მსხვერპლია შესაწირველი!)  
 მაგრამ ნაწილი მეორე  
 შემოინახეთ მთელათა.  
 (დრო მოვა, გამოგვადგება  
 სხვა სიტყვის მისამბელოთა!)  
 ამ უჰმად, მეგლთა კრებულსა  
 უნდა მოვწყვიტოთ კულები.  
 (ვინც გამოკდილი არა ხარ  
 ხომ შიშით გამეგულები?)  
 ტანი დავგრჩება მარტოკა  
 კულის რიკ ჩამონაქარი,  
 (არ ვიშლით, ვუდი გაყიდეთ  
 თუ კი გამოჩნდეს ვაქარი)  
 ტანს უნდა წამოვებატოს  
 ხელსაწყო, დურგლის სახმარი,  
 (ქსულ თავისკენ ითლისოა)  
 ანდაზაშია ნახმარი.)  
 და რაკი მუდამ სხვას ჰიკნის,  
 ახლა ჩვენც აღარ ვაცალოთ:  
 დავკრათ და ასო პირველი  
 პირწმინდათ ჩამოვაცალოთ.  
 მის ნაკვლად, იგი აჯობებს  
 სხვა სიტყვა მოვინახულოთ.  
 აი თუნდ, როცა „ზაკახებს“  
 არ ლეზულობენ უფულოდ,  
 როცა მოგთხოვენ წინ და წინ  
 ღირებულობის ნაწილსა.  
 (ღმერთმანი განგებ გიგროვებთ  
 სიტყვებს ამ როგად ადგილსა!)  
 დაბოლოს ნოტი მონახეთ...  
 (შეექვსედ დასამღერები!)  
 ამით შარადაც გათავდა  
 „ქუდს მიახალეთ ქერები“.

ახლა დასკვნაა საქირო ..  
 მაგრამ რა დასკვნა სჭირია!?!  
 იქით და აქით მოძი სდვას,  
 შვაზე გამტყვენი ღირია,  
 ზედ წვრილი თოკი იციან,  
 (ყოფი აქვს მოსაქირია)  
 თუ მიგიყვანეს იქამდე:  
 წამოსვლა აღარ გჭირია.  
 უწინ ძვირ-ძვირათ ვებდავდით,  
 დღეს იაფი და ხშირია,  
 ვინ სთქვას რამდენი ქაბუკი  
 მას მსხვერპლათა შეუჭრია,  
 რამდენი დედა მშობელი  
 შვილებზე აუტირია?  
 იმას რო ცოდვა მიუძღვის  
 ვერ მოსთვლის კაცის პირია!...

მწარე ხმით გმინავს ქვეყანა:  
 „მოხსენთ, აღარა გვჭირია,  
 ობოლი კრემლის ზღვა დაღვა  
 არ უჩანს კიდე, ძირია,  
 მაგრამ ხოჲ იცით ანდაზა:  
 „სხვათ დარდი, — ლობეს ჩხირია“  
 უძღლურებს რო არ უსმინონ  
 განა რა გასიკვრია?  
 შენ კი, ძვირფასო მკითხველო,  
 არ მათქმევინო ძვირია:  
 თუ ვერ გაიგო, იცოდე  
 კარგი „გალსტუკი“ გჭირია.

კოლო.



დექე შექმნი.

(საქართველოს სააკენო)

**ოზურგეთი.** დიმი. ნაკაშიძეს დღეს აღარაბენ  
 გაუღახავს. გორგასლიძე კი ცოტა კარგაა.  
**ნაზელღავი.** აქ ამოიარეს ზახმაროში მიმავალი  
 მოჰაერებმა. მშენიერი გზები და ამინდებია.  
**სურამი.** მემამულეებმა დაღები ასწიეს დაზა-  
 რალებულ სურამელ ეზრათა „სასარგებლოთ.“  
**ქუთაი ი.** ადგილობრივი კლასიკური გიმნაზიის  
 უფროსი კლასები ექსკურსიად მიდიან ადგილობრივ  
 ქალთა გემნაზიაში.  
**იქიდაჩე.** ცნობილმა ბარკალიამ თავისი მო-  
 ვალებმა ზ. ტუზუზაიას ვადასცა.  
**ბაღდადი.** დელეგაციები ერთმანეთს დაეჯახენ  
 მოხდა შეტაკება. სტრატ. ფილიპემ „წესიერება ალა-  
 დგინა.“  
**ქუთაი ი.** როგორც იქნა ედიროსა ჩვენს არტი-  
 სტებს ტანისამოსის გამოცვლა და თვილი საქმელი.  
 ამას სულ დრამატიულ საზოგადოებას უნდა უმაღ-  
 ლოდეთ.

სასურველი ნაყოფი.

ყოველი ადამიანი ცდილობს, თავისი მო-  
 ღვაწეობა ნაყოფიერ ჰქმნას, რასაც დასთესს ერთი  
 ორად მოიმკოს და ამ სახით გაამართლოს ნ. ბა-  
 რათაშვილის თქმულება:  
 „არც კაცი ვარა, თუ ცოცხალი  
 მკვდარსა ემსგავსოს,  
 იყოს სოფელში და სოფელს კი  
 არა რა არგოს.“  
 ჩვენის აზრით ადამიანი მხოლოდ მაშინ განი-



ცდის უღარეს სიამოვნებას, როდესაც თავისი შრომის კეთილ ნაყოფს იგემებს.

როგორც გვსენია ოზურგეთის სამოქალაქო სასწავლებლის ინსპექტორი აღზრდის საქმეში თავგამოდებით იცავდა პრინციპს „МОМЕНТАЛЬНОГО СОТрясения.“ ანუ უკეთ ვსთქვათ „უცაბდელი შენეღრვის“ პრინციპს. ეს სულ უბრალო რამეა: ვსთქვათ ბავშვი ვერ სწავლობს ან ეშმაკობს. („ეშმაკობა“ ქრისტიანული კანონით ძლიერ ისჯება!) აღმზრდელი მიდის მასთან და სრულიად მოულოდნელათ კარგს სილას აწნავს ყბაში, ან ყურის ბიბილოთა საშვალეებით დაკიდულ მდებარეობას აძლევს. ეს პრინციპი ჯერ კიდევ დობროლიუბოვის დროს იყო ხმარებაში და რომ ის რაციონალური რამე, ეს მისი ასეთი გამძლეობითაც აიხსნება

ეს ასეა, მაგრამ ბევრს არ ეწყვეა ხოლმე ისეთი ბედნიერება, თავისი მოღვაწეობის ნაყოფიერებით დატკობისა, როგორც ეს გორგასლიძემ განიცადა. გაზ. „მოამელის“ სიტყვით 26 ოქტომბერს ქალაქის მოედანზე შეხვედრილან ბ-ნი ინსპექტორი და ერთი ადგილობრივი კნიახი დიმი. ნაკაშიძე. ისტორიული მემკვიდრეობითა აქვს კნიახობას თანდაყოლილი უღარესი მისწრაფება ზემო აღნიშნული პრინციპისადმი. ამიტომაც რა გასაკვირია თუ დიმი. ნაკაშიძემ მალე და უკეთაც შეითვისა გორგასლიძის ხელობა? ხომ გავიგონათ: ის „ურჩევნია მამულსა, რომ შევილი სჯობდეს მამასაო.“ მცირე ლაპარაკის შემდეგ მათ შეაჯება მოსვლით და დიმი. ნაკაშიძეს თითქმის ყოველი მოლოდინისათვის გადაუქარბებია.

ამზობენ ძალზე ნაცემი ინსპექტორი უკიდურესათ მაღლიერია თავის ბედისა და აღიდებს ზენას, რომ ამდენი ხნის შრომამ უნაყოფოთ არ ჩაუარაო.

„მასკა“

ლეკანი სწერება!

გაცხარებული ლევანი მათრახი მეტად სწყენია, თუმც მოვახვედრე სახსარში ჩვეულსა არა სტკენია. ბრძანებს: სადილსა ქრთამისას თუ ვსჭამთო ნება ჩვენია, ჩემს გულის ფარულ განზრახვას ვერ იგრძნობს კაცი ბრძენია. ვერაინ ვერას დაგვაკლებს თუ—კი გყავს უსტა ალალო, გაუძლიერე კალამი მექანქრეთ ღმერთო მაღალო,

ტვინში მიეცი შეძლება მუზა მას არ დაულალო, ნუ განშორდები გენიოსს აზრებო ახალ-ახალო.

იგია ჩვენსა მტრებთანა მებრძოლი შემობრია, თვით ის მოუღვებს ბოლოს ვინც კი ეს ბანკი არია. პატარა მტაცი განდევნა, დიდებს კი ხელი დარია, მაინც გაუწყვეს ბრძოლასა თუმცა მათრახი მწარია.

თუ ვერას გახდა ესეცა მაშინ მუშტაძე მიხაო, ერთხელ შემოკრა მუშასა ნორჩი წნორივით გრიხაო. მას ჩავაბაროთ ესეცა დაზილოს როგორც თიხაო თუ ესეც ვერას გახდება, მოენახოთ ქაჩალ კრიხაო.

ჩვენი ბატონი ვიორგი ძალიან მკვიერ-მეტყველია უაზრო სიტყვა პასუხს ღექს როგორც პური და ყველია. ბევრი უშვერი ლანძღვიათ ამოშრობია ყელია, ხასიათებით რომა ვსთქვათ გახლავთ ნამდვილი მელია:

ეს მიუსიოთ საომრათ ავაზაკების მტერსაო ის მოუხერხებს მას საქმეს იმ მექრთამების მქერსაო, გაღანძლავს უშვერ სიტყვებით ზურგზე ააღენს მტერსაო ენას ჩაუღვებს მუცელში ვფიცავ სიმონის წვერსაო. არ ვიცი რაღას ელიან რა ჰქმნეს პასუხის გებანი მაშინ კი ვამცნო ქვეყანას მათი გმირული ქებანი, ყველას გავაკრა მათრახი მოგვეარო ცეცხლის დებანი მხოლოდ მას ძალუქს ვაჭკურნოს; მისგან მიიღონ შეგებანი.

ა. განჯის-კარელი.



### ღ ე მ ე შ ე ბ ი

(რუსეთის სააგენტო)

**ადგა.** გუშინ მთელი ბოლიცია ფეხზე დადგა. არ იცოდენ მიზეზი რა იყო. გამოირკვა, რომ მგომოდელი ვაპარულიყო თავის სასახლიდან. რის ვაი-ვაგლახით იპოვნეს გადაცემული. თან ორი რევოლვერი აღმოაჩნდა. ის თურმე არდემილში წასვლას აპირებდა.

**პეტერბურგი** ზომიერ მემარჯვენეებმა ღუმეში შეკითხვა შეიტანეს განათლების მინისტრის სახელობაზე: „მოგესვენება თუ არა მათ ბრწყინვალეებს, რომ მეთხებ გენაზიაში ქართულ ენას ავიწროებენ და ამის გამო მარქსის მიმდევარნი მრავალდებიანო.“

**იქიდანვე.** ყოველად სამღვდლო ევლოგი მარტო აპირებს შეკითხვის შეტანას ღუმეში უწმინდესი სინოდის სახელობაზე: „მოგესვენება თუ არა უწმინდეს სინოდს, რომ თფილისის ქალაქის გამგეობა ტლაბში ამოხრობას უპირებს სამღვდლო განშაღილ ახალგაზრდობას და წყნეთის ხიდიდან სემინარიამდე გზის კეთებას არ აპირებსო“.

**იქიდანვე.** ჩელიშევიც აპირებს ღუმეში შეკითხვის შეტანას, განათლების მინისტრის სახელობაზე: „მოგესვენება თუ არა მინისტრს საერო განათლებისას, რომ ქ თფილისში წყნეთის ხიდს ვაღმა, სადაც ღღე და ღაქეში ათასი მთარალი ქრისტიანი გვიღის ერთი თანარიც არა სდგას და თუ მოგესვენება რა ზომების მიღებას აპირებსო“.

ჩელიშევიც აუხსნეს, რომ განათლების მინისტრს სულაც არ ეტება ფარნების საქმეო, მაგრამ ვერაფერი შეასინის.



### „ტ რ ა მ შ ა ნ ი“

ბატონებო და ქალბატონებო!

თაობიდანვე ბოდიშს ვიხდი, რომ შეიძლება ჩემი ლექცია ვერ დარჩეს ისეთი ყურთ წმარტაცი და მომზიბველი. ისეთი ტკბილ-ხმოვანი და დამატობელი, რომელზედაც მიჩვეული ყვევართ განსახიერებულ ლექტორებას გ. როპაქიძეს, მაგრამ იმედი მაქვს მავატიებთ, მე მუსრს მოგახსენოთ ორიოდ სიტყვა თფილისის ტრაშევის შესახებ და როგორც აღნიშნული საქმის მკოდნეს იმედი მაქვს სრულის ნდობით მომეპყრობით.

მაშ დაიწყეთ!

ბ-ნებო და ქ-ნებო! თქვენ კარგით მოგვხსენებთ თუ რა დიდი, რა დაუფასებელი მნიშვნელობა აქვს ქალაქისთვის ელექტრონის ტრაშევის. თქვენ კარგით მოგვხსენებთ აგრეთვე ისიც, თუ რამდენ ფულსა ხარჯავს ამ საქმის მოწესრიგებაზე ჩვენი სამშობლო ბელგია. ზოგიერთნი (მატერიალისტნი), ფიქრობენ, თითქო ჩვენ უზომო ენერგასა და აუარებელ თანხას საკუთარ სარგებლობისთვის ვხარჯავდეთ და არა თქვენის კეთილდღეობისათვის. ამ შეუგნებელთა აზრით, ჩვენ აქ თითქო სავაქროთ მოვსულიყოთ და არა კეთილი კაცთ-მოყვარული გრძნობებით გამსჭვალულნი, რომ დავენებართ კაცობრიობის აღორძინებას. მათი აზრით ჩვენ ჩარჩები ვართ, ჩვენ ერთგვარი მღვდლებნი ვართ, რომელნიც ამ ოსტატურათ გამბული რკინის ქსელებით უხვად ვიქერთ შაურინებს და ბელგისაყენ ვაგზავნიო.

ღეე ილაპარაკონ! უფალი შეუნდობს მათ, რამეთუ არა იციან რასა იქმოდინ! ჩვენთვის, ბ-ნებო და ქ-ნებო, ისიც კმარა, რომ მაღალ გონიერი გამგეობა თფილის ქალაქისა, არ იზიარებს ამ შეხედულებას. ეს გარემოება საბუთს გვაძლევს იმედი ვიქონიოთ, რომ მათ მავალითს მთელი თფილისი წაბაძეს და ამით საზოგადოება ერთი ნაბიჯით წინ წაიწეეს.

მე, როგორც ბელგეელი, ვალდებული ვარ ჩემი ძველ-მოქმედი სამშობლოს სახელი დავიცვა. მე უნდა დავანახო საზოგადოებას თუ რა შეუძლია შეტქმნას ბელგიამ უტხო ხალხთა საკეთილდღეოთ. იმ შავ-ბელი ღღებში, როცა ქალაქი თფილისიც წაბაძელობით ჩაება რუსეთის ეგრეთ წოდებულ განმანათავისუფლებელ მოძრაობაში, ჩემმა წინაპრებმა დაარღვეს ბელგიელთა სამართლიანობა და ის ფულოები, რომელიც მთელი ქალაქის მკვოვრებთა სასარგებლოთ უნდა წასულიყო, მარტო მუშებს ჩაუღღეს ხელში. ღღეს მე უკუ წავიღე ეს ძველი ხელწერილი და აღვადგინე სამართლიანობა. თუ ჯანმრთელობამ არ მისუსტა, ან თვით ბელგიაში არ დავიჩი საქირო, მე ვეღღებ ტრაშევის საქმე ისე მოვაწყო, როგორც არსად სხვაგან. მავალითისათვის მოვიყვან რამოდენიმე მავალითს ჩემ მიერ განზრახული რეფორმებისას, აქვე აღენიშნავ რომ მეც მომხრე ვარ: „ჯერ დამშვიდებისა და შემდეგ რეფორმებისა.“

- 1) უწინარეს ყოვლისა ბ-ნებო და ქ-ნებო, განზრახვა მაქვს დავადგინო ნომრები დიდი რაოდენობისა იყოს და მიკრულ იქმნეს ქულზე. მას ერთობ დიდი მნიშვნელობა აქვს წესიერი მოძრაობისათვის.
- 2) შემდგომად ამისა სასტიკი განკარგულება გავეცი „სესტიკო“ წმინდა ჯაჭვით დაიკიდონ გუ-



ლზე, მაგრამ არას შემთხვევაში მარცხნივ, რადგან ამგვართ ის შორს იქნება მარჯვენა ხელიდან.

3) ქუდს, როგორც სახაფხულოს, აგრეთვე სახამთროს არ უნდა ქონდეს ვერსოკზე მეტი კაზი როკი, რომ იმისმა სიერცემ არ დაუშალოს მოსამსახურეს შორს მჭერტელობა.

4) შემოვიღე ბილეთების სახერტი მანქანა, რაიცა ერთობ გააადვილებს ბილეთის დარიგების საქმეს და მოსპობს ერთი ბილეთით ორჯერ სარგებლობას.

5) მოვსებ გადასაჯდომი ბილეთების წაღმა უკუღმა ხმარება და იმ როგორ: ვსთქვათ წყნეთის ქუჩიდან მიღიხარ სადღურზე. მოგცემენ გადასაჯდომ ბილეთს, რომლითაც უთუოდ ვერის დაღმართთან, უნდა ვადაჯდე. აქედან მიხვალ პიროგოვის ქუჩამდე. ძველთა აქც ვადაჯდებოდენ ხოლმე, ვისაც სადღურზე ექაჩებოდა. ახალა კი ეს აღარ შეიძლება პირდაპირ იმ ვაგონით უნდა წახვიდე სადღურამდე. ვისაც ექაჩება ის ადრე უნდა ჩაჯდეს ვაგონში. აგრეთვე ვორონცოვთან მიმავალს კიდევ სხვა. ეს არის გამოწვეული არა კერძო სარგებლობის მიხედვით, არამედ ხალხის აღსაზრდელათ.

6) აგრეთვე განზრახვა მაქვს გზის მშენებარების და ვაჭმანებისათვის მოვიგონო ისეთივე თვალსაფარები, როგორც ეტლის ცხენებს უკეთებენ ხოლმე.

7) კერძოთ ვატმანებისათვის გამოწერილი მაქვს ყურსაცობები, რომელიც ვაატარებს მხოლოთ სვისტოკის ხმას და ამგვართ შეუძლებელი იქნება მათთან ვარეშე პიროთ ლაპარაკი.

8) რაიცა უფრო საყურადღებოა და იმედიც მაქვს დიდათ მოაწესრიგებს ტრამეის საქმეებს ეს გახლავთ სამმართველოს შენობისათვის ბინის გამოცემა. ის ერთობ მოწყვეტილია ქალაქს და ამიტომაც არის, რომ იქედან რაიმე „სრავეკის“ მიღება უფრო ძნელია ვიდრე სენატიდან. მე განზრახვა მაქვს სამმართველო იქ ვადმოიტანო, სადაც ამ ეჟამდ გორგიჯანიოვის ბაღი იმყოფება.

მაშ ვერე, იმედი ვიქონიოთ, რომ ტრამეის საქმე მალე სასურველათ მოაწესრიგდება და თფლისის მცხოვრებთა კეთილდღეობა მკვიდრ ნიადაგზე დადგება. ჩვენ, ბელგიელებმა უნდა დავანახოთ ქვეყნიერობას, რომ ფულის ინტერესი არ გვაშოქმედებს, არამედ მოუღრეკელი წყურვილი ხალხის სასახურისა.

ლექტორი.

დეპეშეები.

(უკრაინის სააგენტოდან)

**არდებილი.** როგორც ამბობენ შესხვეანებისა და ყარადაღელების დამორჩილება ძლიერ გაუძნელდება სპარსეთის მთავრობას. საქმე იმაშია, რომ რეაქციონერები რუსული თოფებით არიან შეიარაღებულნი.


**პარიუი.** მთავარ მინისტრ ბრიანს წაუკითხავს ვაზ. „დროებაში“ ი. გოგებაშვილის „უცნაური ბრალდება“ და ძლიერ სასიამოვნოთ დარჩენია: მე არ ვიცოდი თუ საქართველოში ასეთი მალაღობრივი დამაინები ცხოვრობდნო. აქ, პარიზში, ბეჭი არა მყავს ისეთი თანაგრძობი, რომელსაც პატივცემულ ქართველ პედაგოგისათვის მინისტრათ ვაზლმა და სოციალური კითხვების ვადაქრა ანუ „მუშათა კლასის მალა აყენა“ ერთი და იგივე ეგონოსო.

**ათინა.** მეფე გიორგი შეიძლება თბილი ქვეყნებისაკენ სასიერნოთ წავიდეს მეტი თავისუფლებისათვის საშედრო კავშირმა პარლამენტში ჯარი ჩაყენა.

**ლონდონი.** დეპუტატმა ქობაპალატაში შეკითხვა შეიტანა: იცის თუ არა ვარეშე საქმეთა მინისტრმა თუ ვინ ამღვრეს წყალს არდებილში... ამაზე მინისტრმა უპასუხა: ვიცი, მაგრამ ამის პასუხი ეს მეზობელ და მეგობარ სახელმწიფოს შინაურ საქმეებში ჩარევა იქნებოდაო.

**მადრიდი.** ისპანიის მთავრობა აპირობს ძველი აუგოს ვერაგულათ მოკლულ საზოგადო მოღვაწე ფერერას. სამღვდლოებას განუზრახავს ფერერა წმინდანთა შორს შერიცხოს. თუ მოვაკლვენიეთ, ეს იმიტომ ვქენით, რომ ამღენი ხანია საქრისტიანოს ერთი წმინდანი არ გამოსცხადებია და გცხვენოდაო.

**როში.** კათოლიკეთა პაპამ წმინდანთა შორის შერიცხა ამერიკის აღმომწენი ქრისტიფორე კოლუმბი. ამერიკელები აღტაცებაში მოუყვანია ამ ცნობას.



# ახალი მბეჭედი.

**შესანიშნავი წარმოდგენა.** გაზეთ „დროე ბა“-ში სასიამოვნო აზრებს ვკითხულობთ. ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერალთა საზოგადოებას განუზრახავს ამავე საზოგადოების სასარგებლოთ გამართოს „კაზმული“ წარმოდგენა. ითამაშებენ „ლალატს“, როლები ასეა განაწილებული

- სოლეიმან ხანი . . . . . ბ.ნი პართენ გოთუა.
- ოთარ ბეგი . . . . . ბ.ნი გიორგი ამირაჯიბ.
- ყარა იუსუფი . . . . . ბ.ნი სიმონ ყიფიანი.
- ალ რაზაკი . . . . . ბ.ნი გრ. რობაქიძე.
- ანანია გლაზა . . . . . ბ.ნი სამს. ფორცხალავა
- ბესო . . . . . ბ.ნი ეშმაკი.
- დათო . . . . . ბ.ნი მიხეილ ლობჯანიძე
- ერეკლე . . . . . ბ.ნი კონ თუმანიშვილი.
- საბა ბერი . . . . . ბ.ნი გიორგი გვაზავა.
- დედ. ზეინაბი . . . . . ქ.ნი ნინო ყიფიანისა
- რუჟაია . . . . . ქ.ნი ნინო ნაკაშიძე-სა
- ისახარი . . . . . ქ.ნი მარიამ დემურია
- მაიკო . . . . . ქ.ნი ან. წერეთლისა.

ყოველივე ექვს გარეშეა წარმოდგენა მრავალთ-უმრავლეს ხალხს მიიზიდავს და თუ, ზოგიერთ ჩვეუ-ნებურ „ეკლემოქედებსავით“, თითომ ათ ათი თუ-მანი არ მოითხოვს, „სიტყვა კაზმული“ მწერალთა საზოგადოება ოქროს გორებს დაიდგამს.

**უკანასკნელი ცდა.** სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ, რომ ცნობილ რედაქტორს, პ. გოთუას, ეს უკანასკნელად აუღია სალიტერატურო და საპო-ლიტიკო გაზეთის ნებათაუა. თუ ვინცობა ეს „ახალი სიტყვაც“ ძველ სიტყვებსავით უსარგებლო და უნაყოფო გამოდგა, პ. გოთუა სრულიად გან-შორდება პოლიტიკას და გამოსცემს ქართულ ენა-ზე „საქორწინო გაზეთს“. ამ საქმეში მას დიდს დახმარებას პირდება ცნობილი „ცეცხლის“ მოხე-ლე მიხეილ გაჭეილაძე.

**ცოცხალი ოქტომბრისტი** ის რაც რუსეთში კიტრის ფსად ყრია, ჩვენში სანთლით საქმებარი შეიქნა ავერ თთხი წელიწადი გამრგვალდა 17 ოქ-ტომბრის მანიფესტის მოვლენიდან, მაგრამ ცოცხალ-ოქტომბრისტი ჯერაც არ გვენახა. მხოლოდ ერობის საკითხმა გააბედნიერა თფილისელი საზო-გადოება და არ ჩაიყვანა საფლავში ამ პარტიული საკვირველების უნახავით. პირველ ნოემბერს ერო-ბის შესახებ მოლაპარაკე ლექტორთა შორის ერია ბ.ნი მილიუტინი. და აი ეს მილიუტინი გახლდათ ცოცხალი ოქტომბრისტი. სამი პირველი ლექტორე-ბის მიერ თავამობეზრებულ დამსწრეთ ძლიერ მიე-

ჩქარებოდათ შინისკენ მაგრამ ერთმანეთს ამით აჩე-რებდნენ:

— კაცო, რაკი ამდენი ხანი მოვითამინეთ, ცო-ტა კიდევ დავრჩეთ და ვნახოთ ბარემ ერთი ცოც-ხალი ოქტომბრისტიო.

მართლაც საკმარისი იყო ბ.ნი მილიუტინის გამოჩენა, რომ დაკმაყოფილებული ხალხი წავიდ-წამოვიდა და სამწუხაროთ ბევრი არ დასწრებია იმის მამობრივ დარიგებას: თუ სიკეთე და რეფორ-მები გინდათ, ასეთი ურიგო დეპუტატები არ უნდა აირჩიოთ დემაში გასაგზავნათო. დარჩენილი იყო მხოლოდ ჩვენი „ნაფიცი“ ინტელიგენცია და თუმ-ცა ისინი მხურვალე ტაშით შეეგებენ ამ სიტყვებს, მაგრამ შთაბეჭდილება მაინც მდარე გამოვიდა.



**უცხო სიტყვათა ასნა.**

(საშურობათის)

**ვაგონის ბაქანი**—დაწესებულება, სადაც ყო-ველ დღე იმართება: კარტის თამაში, საძღვა-გინე-ბა და დრო გამოშვებით მუშტი-კრივი.

**კინკლაობა**—„მოწინავეთა“ გულბრყვილო-ბის დამახასიათებელი ვარჯიშობა.

**ლატარია**—ლევალური შანტაჟი, დამტყვეული ავჯეულობის ერთი საშა დასასაღებელი საშალება.

**მათრახი (პოლიციური)**—ზურგის მოსაფხანბი და ღლებს ამკრეფი მანქანა.

**„მალარჩი“**—მემანქანეთა და მათი თანაშემ-წეების სავალდებულო გადასახადი, ურობლისოთაც არც ერთი ორთქლმავლის შეკეთება არ შეიძლება მისაილოვის დეგოში.

**მასსაყი**—გვერდების დაზელვა რომელსაც და-პატიმრების დროს მხოლოდ ბედნიერი ასცდება

**სახალხო უნივერსიტეტი**—კულტურულ-განმა-ნათლებელი დაწესებულება, რომელსაც ხაშური 2909 წელს ელარსება.

**საზოგადო მოღვაწეობა**—ძველი ამბავი, რო-მელსაც ღვინის სარდაფებში გაიხსენებენ ხოლო.

**ს. ამაშუკელი**—ხაშურის კარტოფიკთა ჩემ-პიონი.



**ტუსალი** — მხოლოდ ლენის სის დროს მოსაგონი რამიანი.

**რკინის გზის აბანო** — ტანისამოსების დასაკარგავი დაწესებულება.

**რკ. გზის ბალი** — ერთად ერთი ადგილი, სადაც თავისუფლად შეუძლიანთ გასეირნობა ღორებს.

**სურამის ცეცხლი** — უბედური შემთხვევა, რამაც გამოადიდა ხაშურის სცენის მოყვარეები და ერთი წლის შემდეგ ერთი წარმოდგენა გვაღირსა.

**სულაშვილი გორა** — ხაშურის ცენზორი, რო-

მლის ნება დაურთველათაც გაზეთის წაკითხვა არ შეუძლიათ მის ნაკრებს.

**უმოკმედობა** — გადამდები სენი მუშებში ერთობ გავრცელებული.

**„უაზე ვაწიჭკენა“** — ხაშურში მოგონილი სასჯელი კორესპონდენტების წინააღმდეგ.

**ბაჰური** — „სტრატეგის“ სათარეშო მოედანი.

**ახლად გაეშმაკებული.**



# ნაიღუბი ეშმაკისადმი

ვერილა. თფილისიდან ისე გამოვიქეც უკან აღარ მომიხედნია. მაგრამ აქაც ვერ ვიგრძენ თავისუფლება — ნემსაძის დანახვა და ჩემი წერვების აშლი ერთი იყო პირველად გავსწიე ყვირილის სამეურნეო საზოგადოებისკენ. კიბზე ავიდიდი რომ ზმული შემომესმა. ვიფიქრე: ეს უთუოდ გლეხები იქნებოდნ და აბა ამით სად შეუძლიან წესიერების დაცვა მეთქი. შეივდი. მივიხედ მოვიხედ აქით იქით, მაგრამ არც ერთი გლეხი არ იყო. ზმული ბუგალტერის მხრიდან მოისმოდა. მეგონა ალბათ პეტერბურგში წასვლა მოუსურრებია წრეულისკ თარჯიმანად და რაღამე საბამი ვერაფერი იშოვა იმისათვის ტირის მეთქი. მიხილდა ნუგეში მეცა. მიმიხვთა სტორიკი და შემაჩერა: „მოილა, ყმაწვილო თორემ იმის ჯავრს შენზე ამოყრისო.“ „ვისას?“ მეთქი. „ვისას და შენი საქმე არ არისო — რაღას ვიზამდი ვიგონდი. გავედი მეორე ოთახში. აქ ხუთ თუ ექვს ვაჰარს მოეყარათ თავი, ერთი რივა ვაჰარი ტირიდა და თავს იპირილებდა. არ ვიცი თუ სად წავიდა ოთხი ფული პარკიო, ალბად სოფელელებმა მომატკუეს წონაშიო. შემეცოდა და წამოვესარჩლე. მაგრამ მომცინდენ. ვაჰარები „აქ ჩვენი ფული იკარგება თქვენ ვინ გკითხავს“ — თო და ისე გამბერტყეს, როგორც ფქვილის ტომარა. გამოვე-

ქეც მათ და სირბილით ჩამოვირბინე კიბე. დაღონებული გაულეძე გზას, რომ უეცრათ განცხადება შევამჩნიე: „ილისა დღე“, „ბატონი და ყმა“ ეწერა დიდი ასოებით. სწორედ დრო იყო და გავმუტრე ბილით ს საყილად, მეგონა ვეღარ ვიშოვიდი. მაგრამ ბილითი ვიწოვე, ხალხი სრულებით არ იყო. ვიფიქრე: „ჯერ აღრეა აქაური ერის განათლებული ხალხი ასე აღრე არ გამოვა“ მეთქი. მაგრამ მოვსტყუედი. აქაური „ქეშმარიტი ქართველები“ კლანდამის ცირკს უფრო მივყუდნ ასე რომ თეატრი აღარ ახსოვთ. მასწავლებლებიც ვათვლიერე, მაგრამ ერთიც ვერ შევამჩნიე უკან ვბრუნდებოდი და ეს ხალხი ყველა მეორე ოთახიდან გამოვიდა. „აქედან რას შეხედავდით“ მეთქი ვკითხე ერთ მასწავლებელს, „შენსავით ტუტუცი ხომ არა ვარ წარმოდგენებზე ვიარო“ — თო „აქ კლუბია, კარტს ვთამაშობთო და ფულს ვიგებთო.“ რაღა მეთქმოდა. გაეულეძე გზას.

„მეც ის“

**ხონი.** — ხონის საფოსტო განყოფილებაში დაარსდა „შავი კაბინითი“ მოხელეები დიდ შრომას ეწვეიან; უმეტესათ ღამით. ასეთ მუყაითი მუშაობისთვის უფროსისაგან ყველანი ჯილღოზე არიან წარდგენილი.

პატარა ეშმაკი.

**წერილები რედაქციის მიმართ.**

ბატონო რედაქტორო! თქვენი ჟურნლის ,,მათრასი და სალაპურსი“ მე 19 ნომერში მოთავსებულია ,,მეტეორული“ ვიღაც კიოლას ბიჭის, რომელმაც კვირებზეა ჩვენი, დიდი ვისისა და ქსნის—ფოთისა და კამბეკე კომიტეტს და ბრძანს ვადგებს, თითქოს ჩვენს საქმეებს ჩვენს, იმის გვეჭინეს, თითქოს წამლებს ფასი მოემატეთ, ხალხს ტუპს ვადრობო და მოგება კი არსად სხნის, რადგან უოველივე ეს ჩვენს შტაბისთვის ხერხს ცხებს და მტკნარ ცილის წამებათ მიგვაქნის, აგრეთვე რადგან კარვად ვიცით, რომ ზოგიერთი ვუბატონო და ბნელი ძაღვი დიდი ხსნა ცდილობს, რომ ამ ერთადერთ ღირს შესაძლებელ კულტურულ დაწესებულებას—ქსნის—ფოთის—ძირი გამოუთხრონ და ამით თავისი კ, ღის ნადები და დაბალი სურვილები შეისრულონ, ამიტომ ამისა ცილის წამების თავიდან ასაცილებლათ და ამ საქმის განშეუხებლად უნდა შექმნილი ბურჟის ერთხელ და საბოლოოდ გასაფრთხილო, ვიწყებო ბნ კიოლას ბიჭს სახმანათო სამარ დაჰო, დეკ ამ სამართალს გამოარკვევის ვინ არის ჩვენს შტაბში და ვინ მტყუნს, ვადას ვაძლეთ ათ დღეს დღადან ამ წერილის გამოქვეყნების. დროს შესაძლებლათ ვთხოვთ ბნ კიოლას ბიჭს თანხმობასთან ერთად დასახელდეს მე დაიტორებოთ თავის მხრით, რის შემდეგაც ჩვენს ჩვენს და დასახლებოთ.

კომიტეტს წუწუნა: მღ გერსიმე ნუგუბიძე, კოსტა ცაფხაძე ვაჭავაძე; ანდრა ნუგუბიძე.

ბატონო რედაქტორო! ვინიდან თქვენ შტაბში მუდ ჟურნალში № 20 ჩემს შესახებ იყო დაბეჭდილი ამბავი ქ. თხურობიძეს—ვიბომ მე მთელ ბაზრში იბისკი მომიქითოს—უოველ სიმათილეს მოკლებული და ჭორავანობაზე ამხეხეულას, ამიტომ თქვენს შტაბში მუდ გახეთის სამკლებათ ვაქვე ვიარსებოდეს და შედიართო სამართალში. ვადას ვაძლევთ თნ ვერას. მღ. იოსებ შევარდნაძე.

**მათრასის ფოსტა.**

**კულაში.** კეთილი მსურველი. თქვენ წერილს არ ვებეჭადთ, რადგანაც თქვენი ნდობა დავგუარავა. აი თითონ გასაჯეთ: ით თქვენ მართლა კეთილსამეტრევი ხართ იმაზე უეთეს რაღას გვიხაობთ, რომ თქვენი წერილებიდან გავანთავისუფლებდეთ.

**ძუთისში,** ვარსკვლავს. თქვე დლოციკლო ვარსკვლავი თუ ხართ, ,,ვარსკვლავი“ უნდა გერჩიოთ, რალა მათრასისაკენ მოიწეოთ, რაცა საქირა იქნება მათრასი თითონ მოქნაზეთ.

**შხიჩილა,** აეტ გეწამეს. რედაქციისათვის ყოველ მოუხერხებელი ყველა წერილების ავტორებს აუხსნას მიზეზი: რატომ არ დიბეჭდა ესა თუ ის წერილი. ეს შეუძლებელია აქ იქნება, თქვენ კარბით მოკვებორეთ და აღარ გაცნობთ, რომ რამდენადაც ღარბი იყო შინაარსით თქვენი წერილი, იმდენათ ვრცელი მოხაზულობა ჰქონდა მას.

**ბონი,** დაკარგულს. თუ ასეთი ლექსის წარაზე სერიოზულათ ფიქრობთ, გამოგიტყდებით რომ მართლა დაკარგული ყოფილა თქვენი საქმე.

**სამხრადი.** დელისპირელს. უშინაარსოა. **იმაში.** სოფლებს. უშინაა. **ბონი.** მოცუქულს. თქვენი წერილი დარბა ხმაღ მლაღებლისა უდაბნოსა შინა.

**ცილონი,** მარგალს. თქვენი წერილის პირველ ნახევარს საგუთოდ ვაზადებდით, მაგრამ ბოლოში ისეთი ურიგო კილოთი სწერთ, რომ შიში შეგვენარა: ვაი თუ ეს კმაწელი არც მთლათ საიმედო იყოსო.

ოქმობისტელ ზოპუღიანურელს, უოველ-კვირული, სურბაიუბანი კურნალი

**„მათრასი და სალაპურსი“**

წელიწდში ღირს 5 მან., ნახევარი წლით— 2 მან. 50 კ., ერთი თვით—50 კაპ. ვინც წლის ბლომდის გამოიწერს და ღირებულ ფასს (2—50) სრულად გამოუგზავნის რედაქციას, ვაგვზავნება აგრეთვე უკვე გამოცული ,,სალაპურსი“ აღმანახები 7 ნაკერი.

მიიღება დასაბეჭდი განცხადებები: პირველ გვერდზე სტრიქონი 20 კ., უკანასკნელზე—10 კ. დროებითი რედაქციის ადრესი: Тифлиси, Типография Т-ва «Шрома» Василию Болквадзе.

დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდათ ხსალი დროს

პ. ი რ მ თ ე მ ღ ი ს ა

**ქრისტიანი**

(სიუჟეტი აღებულია ე. ნახაშვილის მოთხრობიდან). წიგნის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ნაღფულზე შემდეგის ადრესით: Тифлиси, Типография Шрома В. К. Болквадзе.

ვინც არა ნაკლებ 50 ცალიას გამოიწერს, და ეთმობა 25%.

ვისაც სურს პროვინციებიდან თითო ცალი წაიწეროს, შეუძლია გამოგზავნოს ერთი აბაზის მარკები და ამ ფაშში მიიღებს თავის ადრესზე.